№ 19 27 იანვარი, პარასკევი 1866—1878 27 იანვარი, პარასკევი № 19

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციისაგან

Თუმცა თითქმის მუდამ დღე არის ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ნახევარის წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და ათი შაური, მაგრამ ზოგიერთი ხელის-მომწერლები მაინც კიდევ მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

Ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ რომ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც ნახევარი წლის ფასად 4 მანეთი შემოუტანიათ, თუ დანარჩენ ათ შაურსაც არ შემოიტანენ, 1 ივნისს მოესპობათ გაზეთს გზავნა.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲕᲔᲜᲐ, 24 Ianvarsi. Ათინიდამ იწერებიან; რომ საბერძნეთის ჯარებმა ქალაქი Დამაკოსი აიღეს იერიშითაო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 24 ianvarsi. Ღღეს, დილით როცა მთხოვნელები პეტერბურგის გრადონაჩალნიკს ღენ.-ადიუტ. Ტრუპოვის თხოვნას აძლევდნენ, ერთმა მთხოვნელთაგანმა ქაზლოვის ქალმა ესროლა მას რევოლვერი. Ტყვია მუცელში ეცა და იქვე დარჩა. ღენ. Ტრუპოვის სიცოცხლე საშიშს მდგომარეობაშია.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 24 ianvarsi. („ხალხთა-შორის ტელეგრაფის აგენტობისა). „მმართებლობაში მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი სიტყვა ხელმწიფე იმპერატორისა, რომელიც იმას უთქვამს ჯარის დახედვის დროს ღენერლებისა და აფიცრებისათვის:

„მოგილოცავთ, უფალნო, ჩვენთვის ესე სასარგებლო პირობებით დროებით მორიგების შეკვრასა; ამას ჩვენ უნდა უმადლოდეთ ჩვენს ჩინებულს ჯარს, რომელმანც დაამტკიცა, რომ იმისთვის შეუძლებელი არა არის-რა. მაგრამ ამით ჯერ კიდევ საქმე არ გათავებულა: ჩვენ მზათ უნდა ვიყვნეთ, სანამ რუსეთი მტკიცეა და საპატიო შერიგებას არ ეღირსება. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ საქმეში.“

ხელმწიფის სიტყვა აღტაცებით მოისმინეს გამგონთა.

ᲕᲔᲜᲐ, 23 ianvar. Ავსტრიის მმართებლობამ მიიპატიჟა ვენის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად ყველა ის სახელმწიფოები, რომელთაც პარიჟის ტრაქტატზე ხელი აქვთ მოწერილი.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 23 Ianvarsi. Ორი დივიზია საბერძნეთის ჯარისა Თესალიისა და Ეპირის დასაჭერად გაემგზავრა. საბერძნეთის ელჩი წამოვიდა სტამბოლიდამ. Ამან გამოუცხადა Ოსმალეთს, რომ საბერძნეთის განზრახვა არ არისო, რომ Ოსმალეთს ომი გამოუცხადოს, ის მხოლოთ იმიტომ გზავნის Თესალიაში და Ეპირში ჯარებს, რომ ჩერქესებისაგან დაიცვას იქაური მცხოვრებლები (ბერძნებიო).

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 23 Ianvarsi. სენატმა გაათავა პოლიტიკური დამნაშავეების საქმე; იმის გადაწყვეტილებით ბრალდებულებში 90 კაცი სრულიად გამართლებულია; ამათ შორის მ. შაევრდოვისაც; 37 ბრალდებულს Სიმბირში გაგზავნა გადაუწყვიტეს და მხოლოთ ერთს კატორგა. Დანარჩენი კი დროებით დამწყვდეული იქნებიან ციხეში.

ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲚᲘ, 14 Ianvarsi. Ყველა ჩვენ ატრიადებს, ქაკასიაშიაც კი, გაეგზავნათ ბრძანება, რომ ახლავე შეაჩერონ სამხედრო მოქმედება. Ერთი პირობა დროებით მორიგებისა ის არის, რომ ოსმალოებმა უნდა გაიყვანონ თავის ჯარები Დუნაის ციხეებიდამ და Არზრუმიდამ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲯᲐᲜᲛᲗᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔᲓ

Ყველგან ავათმყოფობა და სიკვდილი; დღე არ გაივლის, რომ თითქმის ყოველ ქუჩაზე ერთი მიცვალებულის კუბო მაინც არ გაატარონ.

ხალხი დაფთხობილია ამ გახშირებული სიკვდილისაგან; ექიმები კიდევ უფრო გვაშინებენ: ახლაევ ურჩევენ ისინი ყველას, ვისაც ღონის-ძიება აქვს, რომ გამოზაფხულდეს თუ არა, თებერვალში და მარტში, ქალაქიდამ სოფლად გავიდნენ, თორემ აქ სხვა-და-სხვა ათას გვარი ავათმყოფობა გაერცელდება და საშინელი სიკვდილობა გაჩნდებაო.

Სიძვირეს, სიცივეს, მტერს და მოყვარეს აბრალებენ ამ უბედურ მოვლენას, ამ გახშირებულ ავათმყოფობასა და სიკვდილს; ეძებენ მიზეზს, რომ როგორმე მოსპონ ამ მიზეზისაგან წარმომდგარი შემდეგი.

Მაგრამ ამ მიზეზს ძებნა არ უნდა, ის დიდი ხანია მონახული და ცხადია: ყოველ ავათმყოფობისა და სენის მიზეზი ცუდი საჭმელია, გაფუჭებული ჰაერი, გაციება, ურიგოთ ცხოვრება, ცუდათ ჩაცმა-დახურვა. Ყველა ამას ახლა ომი და იმის შენაძენი ტყვეები დაერთო, რომელთაც ჩვენ საოფლე და სხვა გადამდები სენი მოგვიტანეს.

Მაშასადამე აი ამ მოვლენათ, ამ მიზეზებს უნდა ებრძოლონ, ამათს მოსპობას უნდა ცდილობდნენ ისინი, ვისაც ვალია ქალაქის გაჯანმთელება და ხალხის დახსნა ახლანდელ და მომავალ გაჭირვებისაგან.

Გასულ ორშაბათის სხდომაზე ჩვენს ქალაქის რჩევას ჰქონდა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი და სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ რჩევისაგან დანიშნული სინიტარული კომისია შესდგომია თავის საქმეს; იმას დაუჭერია მუშები ჰაელაბრისა და რიყის გასასუფთავებლად, გადაუწყვეტიათ მნაცაკანის ხიდამდისინ საქონლის დასაკლავი ადგილებისა და აგრეთვე ტყავის და საპნის საკეთებელი ქარხნების შიგ ქალაქში მოსპობა; სწმენდენ იმ არხებს, რომლითაც მტკვარში ქალაქის სიბინძურე ჩადის და სხვ.

Ამავე სხდომაზედ რჩევამ გადაწყვიტა, რომ ქალაქის გასუფთავებისათვის მოსახმარად 15,000 მანეთი ისესხონ ხაზინიდამ. Მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ნამესტნიკის ბრძანებით, ამ საგნისთვისვე, 75,000 მანეთი არის დანიშნული.

Რასაკვირველია, ყველა ეს ყოველად გონიერი განკარგულებაა და გამოსადეგი; მაგრამ მარტო ამ გვარი საშუალებანი არ კმარა ქალაქის გასუფთავებისათვის.

ჩვენის ჰაზრით, ყურადღებაში მისაღებია უფ. ხმოვანის ხარაზოვის წინადადება, რომ ყოველი სახლის პატრონი ვალდებულად გავხადოთო, რომ თავის ეზო სუფთად დაიჭიროსო.

Მართლაც, სიბინძურე განა მარტო მაედნებზე და ქუჩებზედაა ჩვენს ქალაქში? Ყველგან არის, სანამ მთელი ქალაქი არ გასუფთავდება, მანამ ჯანმთელობა არ დამყარდება, რადგან ერთი გაფუჭებული უბანი სხვებს, საღებსაც გაუფუჭებს.

Საჭიროა აგრეთვე ზრუნვა სიძვირის შემცირებაზედ, ჭირიანი საქონლის დაკვლის აღკრძალვა; საჭიროა შეშის გაიაფება, საავთმყოფოები მდაბიო ხალხისათვის; საჭიროა უფრო მომეტებული ექიმები, უფრო იაფი წამლები და სხვა ბევრი რამ.

მხოლოთ, როცა ყველა ამ მიზეზებს მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას, როცა ქალაქის ზამგეობა და მთავრობა გულმოდგინეთ შეუდგება ამ ქალაქის ხალხის ჯანმთელობის დამაბრკოლებელ მიზეზების მოსპობას, მხოლოთ მაშინ ავიცდენთ ჩვენ თავიდამ იმ სხვა-და-სხვა ავათმყოფობას, რომელიც ახლაც ასე გავრცელებულია ჩვენში და რომელიც შემდეგში უარესობას გვპირდება.

ს. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენს ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია დღეს უმაღლესი ბრძანება, რომლითაც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ Ი ქითა და ᲐᲥᲔᲗᲐ მხრის ყველა სამმართველო უწყებათა და მოსამსახურე პირებს ეცნობება, რომ მ. Ი. Უ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ ამ 24 იანვრიდამ ისევ თვითონ იწყებს უმაღლესად მინიჭებულის თანამდებობის აღსრულებასა.

*** შავს ზღვაზე გემების სიარული იწყება. „ᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ გემების მოგზაურობისა და ვაჭრობისა“ აცხადებს, რომ მომავალ თებერვლისთვის 2-ს ᲝᲓᲔᲡᲘᲓᲐᲛ ᲨᲝᲗᲨᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ-ᲒᲔᲛᲘ „ᲘᲣᲜᲝᲜᲐ“ წამოვა საქონლითაო.

*** ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲓᲐᲛ მიღებული ამბავი, რომ ერთ ვილაც მწერალს თავის მძინარე ამხანაგი მოეკლა თოფით. ᲔᲡ საქმე ამ დღეებში, როგორც გაზეთი „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“ გვაცნობებს, ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲘᲡ სამხედრო სასამართლოს გაურჩევია ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ და მკვლელის მოსკვიტინისათვის დახვრეტით დასჯა გადაუწყვეტია.

*** 19 ამ თვეს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ სასულიერო სემინარიაში გარდაცვალებულა სახადით ერთი მეორე კლასის მოსწავლე თაგანი იმერელი ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲐᲛ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲡ სიკვდილი ცხადათ წარმოგვიდგენს „იმას, თუ რა კარგათ უელ იან აღნიშნულს სასწავლებელში ავათმყოფ მოსწავლეებს:

ᲬᲔᲠᲛᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ და ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ და ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ მომვლელისაგან უპატრონოდ მიტოვებული ეს ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ დიდის სიცხის დროს ჭკვა-არეული გამოვარდნილა გარეთ ღამის ათ საათზე, ერთ ხანს სემინარიის ეზოში ურბენია და მერმე გაწოლილა აქავე ტალახში და ამგვარს მდგომარეობაში მიწის პორჭყნით და ხრიალით გაუტარებია ოთხ საათზე მეტი... შემდეგ შემთხვევით გარეთ გამოსრულს ამხანაგს უნახავს ის ამ მდგომარეობაში, შეუყვანია საავათმყოფოში და დაუწვენია; მაგრამ ერთბაშათ გაციებულს ავათმყოფს სამი საათის შემდეგ დაულევია სული...

ᲐᲛ ნამდვილს ფაქტს, ნამდვილს შემთხვევას ვგონებთ განმარტება არ ეჭირება. მხოლოთ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ, რომელნიც ოსმალოს ტყვეების ხშირს სიკვდილზე და ქლეტვაზე ველაპარაკობთ, ერთობ ახირებულნი ვართ...

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲚᲐᲨᲛᲠᲔᲑᲐ

(„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ კორესპონდენცია)

ᲓᲦᲔᲡ მეოთხე დღეა, რაც ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲛ ჩვენი ჯარი მიდის და გროვდება სამზღვარზე, სოფელ ᲓᲘᲦᲕᲘᲠᲨᲘ, ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ გასალაშკრებლათ.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲔᲑᲡ ეს გარემოება გვახარებს. Თუ სხვა არაფერი დაბრკოლება მიეცა ჩვენ ჯარს, ამ თხუთმეტი-ოცი დღის განმამავლობაში, უთუოთ დაისაკუთრებს ᲖᲔᲓᲐ-ᲐᲭᲐᲠᲐᲡ მაინც და ამითია რომ მოველით ჩვენი უნუგეშოთ დარჩენილის ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ცხოვრების ცოტათი მაინც გაცხოველებას.

Რა არის, ღმერთმანი, ამ ქვეყნის ბრუნვა! Შორს რომ არ წავიდეთ, ამ ზაფხულს იმისთანა დრო გვიდგა, რომ ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲘᲡ მოსვლის ხმით თავ-ზარი გვეცემოდა და შიშის ოფლს გვასხამდა, მომეტებულად იმათ, ვისაც ახსოვდა ერთ-ჯერ-ორჯერ ჩვენი ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ იმათგან აოხრება;—ახლა შეხედეთ ჩვენი ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ სიხარულს, რომ ქვეყნის ბორბალმა ისე დაგვიბრუნა საქმე, რომ ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲘᲡ გადმოსვლას მოუთმენელათ მოველით! ჩვენ ერთმანეთ შორის ორივეს მხრით გაცხოველდება ცხოვრება და ამითი, იქნება, ღარიბ ხალხს უსამზღვრო სიძვირისაგან ცოტაც არის შალავათი მიეცემა.

ᲔᲮᲚᲐ იმ ჩვენ მტრათ გადამდგარ მოძმე ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲡ ჩვენთან მეგობრული განწყობილების მეტი აღარა დარჩენიათ-ᲘᲛᲐᲗᲐᲪ უმტყუნა ბედ-იღბალმა და ქვეყნის ბორბალმა. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲑᲔᲦᲡ ჩვენგან გატაცვას, გაგლეჯას და ჩვენი გარშემო სოფლებისაგან უწყალოთ შეძენას და ათას ნაირ ბაშიბუზუყურ მოქმედებაებს გამოესალმებიან.

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ სასტიკ ზამთარში ჩვენი ჯარის გალაშქრებიდამ სჩანს, რომ სამხედრო მთავრობას დაახლოებით სცოდნია ᲐᲭᲐᲠᲘᲡ მდებარეობა და მცხოვრებლების გარემოება.

ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ სასტიკი ზამთარის მიზეზით ეს თვეები ისეთი უბედური დღეებია, რომ იმათ ჩვეულებისა-მებრ არა თუ ტყე-ღრეშია გავარდნა და ხეტიალი მოახერხონ, არამედ სახლებიდანაც გამოსვლა უჭირდებათ ხოლმე. მეორეც ეს, რომ მთელ ᲖᲔᲓᲐ-ᲐᲭᲐᲠᲐᲡ ᲭᲕᲐᲜᲘᲡ ღელემდინ მოყოლებული, ვიდრე ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ მაზრამდის, ცხოვრება ჰქონდათ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ, ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲓᲐᲜ და ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲓᲐᲜ. ᲛᲡᲔᲜᲘ თავიანთ ნამუშევარს ᲭᲘᲦᲓᲔᲜᲔᲜ ხსენებულ ქალაქებში და თავიანთთვის საჭირო საცხოვრებელი მიჰქონდათ ამავე ქალაქებიდამ.

ᲐᲒᲔᲠ მეათე თვეა, ამ ადგილებიდამ არც ერთი კაპეიკის რაიმე გაუტანიათ და არც ნამუშევარი შემოუტანიათ. Და თუ თავიანთ სარჩოზე მომატებული რაიმე ჰქონიათ, ისიც როგორც გვესმის, თავისვე მთავრობას, ძალით თუ ნებით, ჯარის და უფრო ფაშების ჯიბეების საკვებათ მეოთხედ ფასით გამოუგლეჯიათ.

Საწყალ ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲡ, რომელთაც ყოველის მხრით გზა ᲩᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ-მოგებისა, მაშინაც ძალელ უჭირდებოდათ ფუთი სიმინდის ათ შაურათ ყიდვა, და დღეს კი, ამბობენ, ორ და სამ მანეთათაც ვერ შოულობენო.

ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ცხადათა სჩანს, რომ ᲖᲔᲓᲐ-ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲡ მეტი აღარაფერი რჩებათ გარდა იმისა, რომ ჩვენს ჯარს დაემორჩილონ.

Მაგრამ, მაგარიც ეს არის, რომ ჩვენ აწინდელმა ომიანობამ უკვე საკმაოთ დაგვიმტკიცა მაჰმადიანების ფანატიკობა, რომ იმათ მოლლებისაგან ქრისტიანობის წინააღმდეგათ ძარღვები შხამით და ბრაზით აქვთ გავსებული. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ესეც ყოველთვის აზრში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ფანატიზმი იმათ ყოველივე მწუხარებას სიამოვნების ფარდას ჩამოაფარავს...

ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ამისთანა საუათერაკო დროს და ადგილებში ყოველივე ნაბიჯის გადადგმას დიდი დაკვირვება უნდა; უნდა იქ დანიშნულ სარდალმა ᲐᲭᲐᲠᲐ და იქაური მცხოვრები თავის ხუთი თითივით იცოდეს, ანუ ერთგული მცოდნე ვინმე ჰყავდეს. ᲐᲛᲐᲡ იმიტომ ვამბობ, რომ, როგორც ამბობენ, იმ ატრიადის სარდალს გზების და მცხოვრებლების გარემოების შესასწავლათ, ერთი ვილაც ისეთი პირი წაუყვანია, რომელსაც არც გზების გაეგება რამეო და არც იქაური ხალხისაო.

ᲩᲔᲛᲡ თავს ვალდებულად ვრაცხ სამხედრო მთავრობის ყურადღებას მივაღწევინო, რომ ამ მძიმე თანამდებობის კისრვა მხოლოთ თავად ᲖᲠᲘᲒᲝᲚ ᲖᲣᲠᲘᲔᲚᲡ და ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ უფროსს მიხეილ მეფისაშვილს შეუძლიანთ, რომელთაც უკვე ჩვენი მთავრობის ერთგულება და მძიმე საქმეებში თავ-განწირულება დაიმსახურეს. ᲐᲛ პირებს შეუძლიანთ მხოლოთ, რომ ამ შემთხვევებში ჩვენ ჯარს ისე ამეფონ ᲐᲭᲐᲠᲐᲖᲔ, რომ ერთი თოფიც არ გავარდეს.

Მე ნამდვილად ვიცი, რომ მთელი ᲖᲔᲓᲐ-ᲐᲭᲐᲠᲐ, ᲭᲕᲐᲜᲘᲡ ღელემდის, ამ ორ პირთ თითქმის თაყვანსა სცემს. ᲧᲝᲕᲔᲚ გაჭირების დროს ამ ორ პირთ მიადგებიან ისინი, დაგვიხსენონ, გვიშველეთო!

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ დაპყრობასთან ერთათ ჩვენმა მთავროპამ სახლში უნდა იქონიოს ჩვენი და ჩვენი სოფლელების ამაოხრებელი ავაზაკები. ჩვენს მთავრობას შეუძლია, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲨᲐᲠᲘᲤ-ᲑᲔᲒᲘᲡ ᲮᲘᲛᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მითითებით, ისინი ხელში გაიტაროს; თორემ თუ სამერმისოთ დარჩა საქმე, ისინი კიდევ გავარდებიან ტყე-ღრეში და იმათი ბინა თვით ᲔᲨᲛᲐᲙᲐᲪ არ ეცოდინება, და სანამ ხელში ჩავარდებოდნენ აღარაფრით დაზოგვენ ჩვენი გლეხების გადაწვას, გაოხრებასა და დანელებას.

ჩვენს მხნე მხედრობას ᲑᲐᲗᲣᲛᲖᲔ მისვლა ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡ მხრით უფრო უნდა ეადვილებოდეს, ვინემ ᲐᲭᲐᲠᲘᲓᲐᲜ გადასვლა, რადგანაც ᲥᲕᲔᲛᲝ-ᲐᲭᲐᲠᲘᲡ უგზო-უკელობა და მცხოვრებლების ᲖᲔᲓᲐ-

აჭარლებზე დიდი განსხვავება, ცოტა არ იყოს ამ ჩვენ მხედრობას გაუძნელებს ნაბიჯის გადადგმას. მხოლოთ, როგორც ეს ორი დღეა ჩვენში გავრცელდა ხმა, რომ ართვინი ავიღეთო, თუ ეს ხმა გამართლდა *), მაშინ შეუძლია ჩვენს ჯარს დაუბრკოლებლივ ნაევებით პირდა-პირ ართვინიდან, დიდი ჭოროხის წყალობით, საომო მასალებით, ერთ დღეზე აჭარის-ხიდზე აჭარის შემავალ კარებთან, დაიბანაკოს და ამათი მოიმწყვდიოს შუაში ქვემო-აჭარა. თუ მოხერხდა, რომ ართვინის ატრიადმა და აჭარის ატრიადმა ერთ დროსვე მოიყარეს თავი აჭარის შემავალ კარებთან, მაშინ აქა ვგონებ გაუჭირდესთ თავისუფლათ მისვლა და ქახაბერის მინდვრიდან ზედ ბათუმზედ მიდგომა.

ქართველი

ახალციხე, 22 იანვ-რს.

მოლაპარაკება შერიგებაზედ

— ამბობენ, რომ ინგლისის კოროლევამ მისწერა რუსეთის იმპერატორს წერილიო და სთხოვაო, რომ ოსმალეთთან ბრძოლა შეწყვიტესო.

— ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ ინგლისი იკისრებს იმ კონტრიბუციის, ე. ი. ომის ხარჯის გადახდას, რომელიც ოსმალეთმა რუსეთსა და იმის მომხრეებს უნდა უზღოსო. ამბობენ, რომ ამ ფულის გირაოთ ინგლისი ეგვიპტეს აიღებს ოსმალეთისაგან.

— ბაზეთს „პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ბერლინიდამ მიღებული:

„აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუ ეინიცობაა, ინგლისმა რუსეთის წინააღმდეგობა მოინდომა, ის ვერ დაუშლის რუსის ჯარს ბალიპოლისა და სტამბოლის დაჭერას, რადგან რუსები ამ ქალაქებში ინგლისელებზე უფრო მალე მიელენო.

„ამას გარდა სამხედრო საქმეების მცოდნე, პირებმა დამარწმუნეს მე რომ, თუ მორიგება არ მოხდა და რუსეთსა ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა, ინგლისი თითქმის ვერაფერს დააკლებს რუსეთს, რადგან იმას სულ ბევრი 50,000 კაცის მეტის გამოყვანა არ შეუძლიან ბრძოლის ველზედაო.

საგაასო

I

„ნაფარეულის მასწავლებელს“

ჯერ პირველად ნება მომეცით მოგახსენოთ რომ ასე გაცხარება არ შეიძლება, როგორც აქვე გინებებიათ, და იმის გამო თქვენის სახელის გამოსახატველათ „დროების“ მერვე ნომერში დაბეჭდილს სტატიაზედ ხელს აწერთ ასე: „ნაფარეულის მასწავლებელი“ მაგ სიტყვებით თქვენვე შეგყავთ მკითხველი ეჭვში. რომ უთუოთ მართლად „ნაფარეულის მასწავლებელი უნდა იყოთ, ესე იგი მასწავლებელი სოფლისა და არა შეგირდებისა! მაგაში მეც დაგემოწმებით, რომ თითონ სოფელს ნაფარეულს ბევრი რამ ასწავლეთ და იმისგანაც ისწავლეთ. მაგრამ შეგირდებს, (თუ გყვანდათ აქამდის) რა ასწავლეთ?

თქვენის სიტყვითგანვე სჩანს, რომ სწავლა გქონიათ 1877 წლის 8-ს იანვრიდგან მაისამდინ; ამასთან უმატებთ კიდევ, რომ „დიდოელების აჯანყებს მიზეზით საზოგადოებამ სახლი აღარ დაიქირავა შეგირდებისათვისა და მე ჩემს საკუთარს სახლში ვასწავლიდიო.“ ბაჭებთ მაგ გულკეთილობისათვის, თუ მართალია, მაგრამ ძნელი დასაჯერი კი არის ამისათვის რომ, თუ მართლად საზოგადოებამ აღარ დაიქირავა სახლი ლეკების შიშით, მაშასადამე ველარც შვილების გამოგზავნას გაჰბედავდნენ თქვენს სახლში იმავე მიზეზით. მაგრამ, არა, მიზეზი სულ სხვა გახლდათ. ან კი ვისთან მივიდოდნენ მოსწავლენი, როდესაც მასწავლებელი თითქმის მრთელს იმ თვის განმამავლობაში იმყოფებოდა თელავში.

თქვენი სიტყვები თქვენვე გამტყუნებთ: სწავლა მაისში კი არ უნდა მიგეტოვებინათ, არამედ ივლისის გასულს! ეს არის დიდიხნის წესი სასწავლებლებისა. და რაკი სწავლის დაწყება მიგიტოვებიათ ენკენისთვის 29-მდის, მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ რაღაც წინასწარმეტყველობის გრძნობა გქონიათ ამისათვის, რომ იმედი გქონიათ ლეკების ჩამოსვლისა იმ დროსთვის!

ყველაფერში რომ გეთანხმოთ რისაც დამტკიცებასა სცდილობთ, იმაში რაღას გვეტყვით, რომ მაისში და თიბათვეში მუქთად იღებდით ჯამაგირს?

თქვენ ამტკიცებთ: „დირექტორის მოსვლამდის სწავლობდა 12 შეგირდი და დღეს კი 15 ვაჟი და 13 ქალიო.“ რომ დირექტორის მოსვლამდინ 12 მოსწავლე არ გყოლიათ. ამის დამტკიცება მეც რომ არ მომთხოვოთ, სხვა მხრითაც მოელოდებოდეთ; და თუ ეხლა მართლად რიცხვი მოსწავლეებისა ავიდა 28-მდის, ამას ნუ მიიწერთ თქვენს თავზედ, რადგანაც მიზეზი ამისი გახლავთ ადგილობრივი მღვდლის ჩიკვაიძის მეცადინეობა და შთაგონება შეგირდების მშობლებისადმი უ. დირექტორის დავალებით.

მოაბე

II

თელავის ხაზინადარს

თქვენს პასუხზედ, რომელიც არის დაბეჭდილი „დროების“ მე-10 ნომერში მხოლოდ ამას გეტყვით, რომ „სამუდამოთ გამოესალმოთ“ გაზეთში წერას და პოლემიკას, იქნება ამით მოისპოს „უნებური შეცდენა ხაზინისა“ და უდოკუმენტოთ პოდოროჟნების მიცემა უცნობი პირებისადმი, როგორც ეს მოგიხდათ ა. თ.—თან.

ა. შ.

თამადა და ტოლუმბაში

ისე სუფრა არ გაიშლება ჩვენს ხალხში, მდიდრებში თუ ღარიბებში, — ოღონ თამადა და ტოლუმბაში არ ამაირჩიონ, არ დასონ სუფრაზე და პირველი ალაგი არ მისცენ.

მაგრამ არა მგონია ბევრმა იცოდეს ჩვენში — თუ რას მოასწავებს ამ გვარი ჩვეულება და რა მნიშვნელობა აქვს თამადისა და ტოლუმბაშის არჩევას.

ამის გამო მე აქ მოვიყვან რამდენიმე ცნობასა და სიტყვას, რომელიც ერთმა მოხუცებულმა გადმომცა ამ საგნის შესახებ. ეს ცნობები ტყუილი არ უნდა იყოს, რადგანაც მთქმელს თავის პაპისაგან გაუგონია ჩარექაშვილი თამაზასაგანა, რომელიც მეფე ერეკლეს დროს დიდად განთქმული ტოლუმბაში და ღვინის მსმელი ყოფილა, ისე რომ თითონ ჩარექს ისე დასცლიდაო, რომ ერთსაც არ დაისვენებდაო და ამისთვისაც. უწოდეს მას „ჩარექაშვილიო“.

მეფე ირაკლი მეორის დროსა სპარსეთსა და საქართველოს შუა ცოტათი კავშირი იყო ჩავარდნილიო და ხშირად მისვლა-მოსვლაცა ჰქონდათ ერთმანეთშიო; ამ დროს ხშირათ მოდიოდნენ ხოლმე ყეენის შვილები საქართველოს მეფეთა წინაშე და რჩებოდნენო; რასაკვრელია, წვეულებაც და მეჯლიში საკადრისათ უნდა ემართათ და მართამდნენ კიდეცა.

მეფე ირაკლი მიიღებდა ხოლმე ყეენის შვილებს დიდის პატივითაო, თვის სამეფო სახლში მისცემდა სადგომ ალაგსა და მიიწვევდა კიდეცაო.

აი ამ დროს მეფის ბძანებით შეიყრებოდა მთელი საქართველოს წარჩინებული ახალგაზდა ყმაწვილ-კაცობა და ერთათ უნდა ეჭამათ სადილი ერთს რომელიმე სამეფო ბაღში ყეენის შვილების პატივის-საცემათ.

ეს ახალგაზდები ამაირჩევდნენ ერთს თავიანთაგანს, რომელსაც შესძლებიყოს კარგა ბლომათ ღვინის სმა და ყველას დათრობა და მისცემდნენ მას პირველ ალაგს სუფრაზე და დასომდნენ მუთაქაზე. პირველათ მას უნდა დაეცალა აზარფეშა და საჭმლის გემოც პირველათ მას უნდა ეგემეგია, რომ სხვასაც მადა მისცემიყოთ ჭამა სმისა.

აქედამ წარმომდგარა სიტყვა „თავი მადა“ ანუ თამადა. ტოლუმბაშიც იმიტომ დაურქმევიათ, რომ ესევე ზემოხსენებული პირი იყო „ტოლების“, ერთად მსმელების „თავი“ ანუ სპარსულად „ბაში“.

როგორც ახლა, მაშინაც ტოლუმბაშის მოვალეობა ის იყო, რომ სუფრაზე სუყველა დაეთრო და თვითონ კი ყოჩაღათ ყოფილიყო, სუფრის ალაგების დრომდინაო; ამ დროს ყველა ახალ გაზ: და მას თავს დაუკრავდა და ეტყოდა „ტოლუმბაშს გაუმარჯოსო!“ და შემდეგ წავიდოდნენ თავ-თავიანთ სახლებშიო.

აი ეს მნიშვნელობა ჰქონია თამადობასა.

*) ართვინი ჯერ ჩვენ არ აგვიღია.

რედ

ესეც მითხრა ჩემმა მოხუცმა, რომ არ ვიცი იქნება მეფე ერეკლეზე ადრეც იცოდნენ ქართველებმა ტოლუმბაშობაო. მაგრამ პაპაჩემი თამაზასაგან კი ასე გამიგონია, რომ ეს სახელი და ამბავი მეფე ერეკლე მეორის დროს გავარდა მთელს საქართველოს ხალხშიაო.

ზ. მთაწმინდელი

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილას 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბთს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ძიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და —ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფ., ძიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ალკა ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათვყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12 მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკოთახებში კი დღეში—1 მან.

ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან ½		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „	— „	1 მან. 50 „
—დამოჟნამდინ— 1 „	50 „	1 „ — „
—ქალაქ. ყველგან 1 „	— „	— „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „	— „ 50 „
— ნავთლუღიდამ 1 „	50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და		
უკან — — —	1 „ 30 „	— „ 90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ეისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამეეის ტაქსა ივივე დარჩება, ბაკალაურის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

იყიდება
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ეშმაკის ხარო
მდაბიური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

ქართული სახალხო სიმღერები
შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

ჩაის მაღაზია
პ. ვ. პოპოვისა,
რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.
თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჭდენ ბედინიძე

ვისაც ჰსურს თავის რქიანი საქონელი და ღორები მარგებელი საქვებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოდში.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 24 იანვარს.		
ერთი ინგლისი ლირს:		
ლონდონში 23 ჰენნი.	—	78
პარიჟში 263 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	96	50
მოგებიანი (პირველისა)	238	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	233	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ყაკაზის და მერკურის .	225	—
პირვ. საზღვევ. საზ. ბ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი. 26 იანვარს:		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	15
ფქვილი წითელი . .	1	80
ჭერი ფუთი . . .	1	45
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	30
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	11	—
მატყლი თუშური ფთ.	8	—
—თარაქამისა ფთ. .	4	80
აბრეშუმი ნეტური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	9	20
—ფხვნილი ფუთი . .	8	20
ყავა გოგვალი, გირვ. .	—	80
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	50

Дозволено цензурою Тифлисъ, 26 Января 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.